

ტკბილი ნუში - სტატია 06.05.2919წ.

1	2	3
1.	ნუშის სახეობებია: ტკბილი და მწარე. ტკბილი ნუშის მოსავლის აღება:	ტკბილი ნუშის მოსავლის აღების პერიოდია- აგვისტო- სექტემბერი. მოსავლის აღება იწყება, როცა მომწიფებული ნაყოფების ლენჯო ყვითლდება, იხსნება და გარსი ნაჭუქს ადვილად შორდება. მოსავალი აღებისთანავე უნდა გადაირჩეს, უხარისხო და ხარისხიანი დაჯგუფდეს ცალ-ცალკე, მოხდეს გამრობა და შენახვა
2	მოსავლის აღების მომენტში ტენიანობა %	15-20
3	მოსავლის აღების შემდეგ	ნუში უნდა გამრეს მზეზე ან სპეციალური საშრობების გამოყენებით
4	1 ჰა-დან მიიღება- ტონა	3.2- 4.5
5	შრობის t- ურა საშრობ დანადგარში	(23-30) ⁰ C , არა უმეტეს 40 ⁰ C-სა
6.	შრობის პროცესის ხანგრძლივობა საშრობ დანადგარში	არა უმეტეს 2 დღე
7.	შრობის პროცესის ხანგრძლივობა მზეზე საშუალოდ	10-12 დღე
8.	სინესტე გაუტეხავი ნუშის %	არა უმეტეს 11,0
9.	სინესტე ნუშის გულის %	6,5 (არა უმეტეს)
10.	გულის გამოსავლიანობა	(38-42) % არა ნაკლებ-30%.
11.	ნაყოფის ფორმა	მოგრძო, ოვალური, ორივე გვერდი შებრტყელებული.

12.	ნაყოფის სიდიდე ჯიშების მიხედვით მმ	38X18X13მმ 31X20X13მმ 34X21X17მმ																
13.	სრულ მსხმოიარობაში შესვლის პერიოდი წელი	6-7																
14.	შენახვის ხანგრძლივობის დამოკიდებულება ტემპერატურაზე და ჰაერის ტენიანობაზე თვე ნუში გაუტეხავი -თვე ნუშის გული-თვე	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (50-65)% <table border="1" data-bbox="774 689 1481 947"> <thead> <tr> <th colspan="4">შენახვის ტემპერატურა °C</th> </tr> <tr> <th>18°C</th> <th>0°C</th> <th>10°C</th> <th>20°C</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>12</td> <td>20</td> <td>16</td> <td>8</td> </tr> <tr> <td>12</td> <td>10</td> <td>8</td> <td>4</td> </tr> </tbody> </table>	შენახვის ტემპერატურა °C				18°C	0°C	10°C	20°C	12	20	16	8	12	10	8	4
შენახვის ტემპერატურა °C																		
18°C	0°C	10°C	20°C															
12	20	16	8															
12	10	8	4															
15.	შენახვის ვადა გაუტეხავი ნუში-წელი	ტენიანობა არა უმეტეს 70% T °C (-15 -0) °C (+10+20) °C 5 2																
16.	ხარისხის გაუარესების ნიშანები, რომელიც გამოწვეულია ცხიმის ჰიდროლიზით - (როდესაც სუნთქვის ინტენსივობა-ტენიანობა და ტემპერატურა მაღალია).	პირველი ნიშანია- გამწარება, მეორე ე.წ „დამძაღება“ მესამე დაობება (გროვდება აფლატოქსინი).																
17.	ნუშის შეფუთვა: გაუტეხავი ნუში უნდა შეიფუტოს და შეინახოს ვაკუუმ შეფუთვით და მუყაოს ყუთებით	ჯვალოს (ჯუთის) ტომრებში (25-30) კგ -ის ოდენობით ან მუყაოს ყუთებში, ან დიდი ტევადობის(1-1,5) ტონის ოდენობით ე.წ. ბიგ-ბეგებში. დასაწყობდეს პალეტებზე.																

18.	<p>ნუშის პროდუქტები: .ნუშის ნაყოფი</p>	<p>ნუშის ნაყოფებს აქვს ძვირფასი კვებითი, დიეტური და სამკურნალო თვისებები: ტკბილი ნუში გამოიყენება როგორც ნედლეული და დამარილებული სახით. მას სასიამოვნო და ტკბილი გემო აქვს. მის შემადგენლობაშია ადამიანისათვის აუცილებელი უნიკალური სხვადასხვა სასარგებლო თვისებების მქონე ნივთიერებათა კომპლექსი, რომელიც აუმჯობესებს ადამიანის ორგანიზმის საერთო მდგომარეობას და ამაღლებს იმუნურ სისტემას. მწარე ნუშის სახეობები -კი გამოიყენება ფარმაცოლოგიური დანიშნულებით. ნუში შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა. ადრე ყვავილობის გამო, იგი ფუტკრებისთვის საუკეთესო საკვები ბაზაა.</p>
	. ნუშის ზეთი	<p>ნუშის ზეთი გამოიყენება - კვებისა და ფარმაცევტულ მრეწველობასა და კოსმეტოლოგიაში.</p>
	. ნუშის რძე	<p>ნუშის რძე გამოირჩევა თავისი უნიკალური შემადგენლობით. ის არ შეიცავს - ქოლესტერინს და ლაქტოზას. ამიტომ ის გამოიყენება საკვებად ვეგეტარიანელებისთვის, დიაბეტიანებისთვის და ვისაც ალერგია აქვს ლაქტოზაზე . ის აგრეთვე ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელ სისტემას.</p>
	.ნუშის ნაყოფი .ნუშის ფქვილი .ნუშის პასტა	<p>გამოიყენება კვების მრეწველობაში - საკონდიტრო მრეწველობასა და კულინარიაში.</p>
19.	<p>ნუშის მავნებელი დაავადებებია სახეობების მიხედვით: „პარშა“, -სკვა, რუსი, მონოლიოზი, კლასტეროსპოროზი, ნაცრისფერი ლპობა, ატმის დიდი ბუგრი.</p>	

	<p>ნუშს აზიანებენ როგორც მავნებლები, ისე სოკოვანი დაავადებები:.</p> <p>.კლასტეროსპოროზი- აავადებს ნუშის ფოთლებს, ნაყოფებსა და ტოტებს. დაავადების პირველი ნიშნები ვლინდება გაზაფხულზე. ფოთლებზე ჩნდება პატარა ღია ყავისფერი ლაქები, მოწითალო არშიით. ლაქები მოგვიანებით ხმება, ფოთლიდან გადმოვარდება და მის ადგილას რჩება ნახვრეტი.</p>	<p>კლასტეროსპოროზით დაავადების წინააღმდეგ მცენარეს ამუშავებენ სპილენძმემცველი ან სხვა ფუნგიციდებით, კვირტების გამლამდე ბორდოულის 3 % ხსნარით, ხოლო შემდეგ პერიოდში სპილენძის ქლორჟანგით, კუპროქსატით, იტალიური ბორდოთი, ციხომითა და ა.შ 0,4-0,5 % ხსნარით.</p>
20.	<p>. ატმის დიდი ბუგრი- ნუშის კულტურაზე საკმაოდ გავრცელებული მავნებელია. იგი აზიანებს შტამბს, ფოთლებსა და ნორჩ ყლორტებს. დაზიანებული ფოთლები იხვევა და იჭმუჭნება, ყლორტები ჩამორჩება ზრდაში. ბუგრებით დაზიანებული ყლორტების რაოდენობა ქვედა იარუსზე უფრო მეტია, ვიდრე ზედაზე. ბუგრები პირველად აპრილის მეორე ნახევარში ჩნდება. მათი რაოდენობა თანდათან იზრდება და ივნისის პირველ დეკადაში</p>	<p>ბუგრების წინააღმდეგ მცენარეებს ამუშავებენ სხვადასხვა ინსექტიციდებით.</p> <p>პროფილაქტიკური ღონისძიებებიდან სავალდებულო და აუცილებელია ყოველწლიურად ნუშის საშემოდგომო ბაღის დასუფთავება და გაწმენდა ფოთლებისა და ტოტებისგან. არ უნდა დარჩეს ჩამოვარდნილი ფოთლები და ტოტები, რადგან იქ შეიძლება გადაიზამთრონ მავნებელმა მწერებმა. მცენარის ყველა ნარჩენები უნდა იქნას ამიღებული ბაღიდან და დაიწვას. უნდა მოხდეს შტამბის ჩამოფხევა, კირიანი ხსნარის წასმა, მცენარეების დროული გასხვლა, ანასხლავის დაწვა და გადანაჭრებზე ბაღის მალამოს წასმა. მცენარეების ქვეშ ნიადაგი ხშირად უნდა გაფხვიერდეს, რაც ხელს შეუწყობს ჟანგბადის ხელმისაწვდომობას და მცენარის ფესვების ტენიანობას.</p>

21.	<p>მაქსიმუმს აღწევს. შემდეგ მათი რიცხოვნება მცირდება.</p> <p>ნაცრისფერი ლპობა- „ნაცრისფერი ლპობა „- ან ნაცრისფერი ლორწო გამოჩნდება ნუშის ფოთლებზე მუქი ლაქების სახით. სველი ამინდის დროს ფუმფულა ნაცრისფერი კუნძულების სახით ჩამოყალიბებულია - სოკოვანი სპორების სახით, რომლებიც ქართაც ვრცელდება. დაავადების შესაფერისი გარემო შექმნილია ხეებზე ნუშის ტოტების სიხშირით და აზოტოვანი სასუქების უკიდურესად მაღალი დოზებით.</p>	<p>პირველ ადგილზე ნაცრისფერი ლპობის წინააღმდეგ ბრძოლაში ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში ხდება ხეების გასხვლა.</p> <p>დაავადების მკურნალობისთვის გამოიყენება შემდეგი მედიკამენტები: "ტოპაზი", "კუპროსატ", "ოქსიპი".</p>
-----	--	---

22	<p>ნუში - მიყენებული ზიანი და უკუჩვენებები</p>	<p>ნუშის არის ძალიან მაღალი კალორიულობის პროდუქტი. იგი შედგება დაახლოებით 50% ცხიმის, 20% ცილების და ნახშირწყლების და დიდი რაოდენობით სხვადასხვა დადებითი თვისებების მქონე ნუტრიენტებისაგან. ნუშის გულს შეიძლება ჰქონდეს დადებითი კომპლექსური ეფექტი ორგანიზმისათვის, რადგან მის შემადგენლობაში შედის: ვიტამინები, მჟავები, ამინომჟავები, ეთერზეთები და მრავალი სასარგებლო ქიმიური ელემენტები.</p> <p>ტკბილი ნუშის კალორიულობა თითქმის სამჯერ მაღალია კაკლის და თხილის კალორიულობაზე და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობის მიხედვით ამიტომაც მტკიცედ დგას ის ლიდერის პოზიციაზე.</p> <p>მწარე ნუშის ერთ-ერთი სახეობის შემადგენლობაში არის საშიში ნივთიერება - ამიგდალინი. მომელიც არის შხამიანი და რომელმაც შეიძლება მიიყვანოს</p>
----	---	---

		<p>ადამიანი, როგორც ბავშვი ისე ზრდასრული, ფატალურ შედეგამდე. ეს ყველაფერი დამოკიდებულია საკვებად გამოყენებული ნუშის გულის რაოდენობაზე.</p> <p>ასეთი ტოქსიკური ნივთიერება კი არის მხოლოდ ველური ჯიშის ნუშის ნაყოფებში. ამიტომ ველური ჯიშის ნუშის ნაყოფების ნედლი ფორმით საკვებად გამოყენება მკაცრად აკრძალულია.</p> <p>ველური მწარე ნუშის ნაყოფის მიერ ადამიანისათვის მიყენებული ზიანი და უკუჩვენებები:</p> <p>ძირითადად, ნუში შეიცავს სასარგებლო თვისებებს, მაგრამ ის შეიძლება იყოს ზიანის მომტანი ადამიანისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის გათვალისწინებული მისი ინდივიდუალური თავისებურებები და არსებული დაავადებები.</p> <p>ასევე მნიშვნელოვანია ნუშის გამოყენების რაოდენობის პირობის დაცვა შესაბამისი სპეციალისტის რეკომენდაციის მიხედვით: აუცილებელია პროფესიონალების შემდეგი რჩევის მოსმენა და გათვალისწინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ყველას, ვისაც აქვს ალერგიული ხასიათის გამოვლინებები, ნუშის გამოყენება უნდა იყოს ძალიან ფრთხილად, დაწყებული დღეში მინიმალური რაოდენობიდან. • დიდი რაოდენობით ნუშის გულის ერთჯერადად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა და ტკივილი. • მოუმწიფებელი მწარე ნუშის გულის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული მოწამვლა ზრდასრულებში და სიკვდილიანობა ბავშვებში. • არ უნდა გამოიყენოთ ნუშის გული საკვებად გულის დაავადებების გამწვავებისას და მძიმე ნერვული მდგომარეობისა და აგზნების დროს. • დიეტოლოგების რჩევით არ არის რეკომენდებული ჭარბი წონის ადამიანებისათვის ნუშის გულის დიდი რაოდენობით მიღება. <p>ნუშის არის ფასდაუდებელი და შეუცვლელი საჩუქარი ბუნებისა, რომელიც მხოლოდ სწორად უნდა გამოვიყენოთ.</p> <p>ექსპერტების მიერ რეკომენდირებული ნორმა-დღეში (5-6) ცალი ნუშის გულის საკვებად გამოყენება.</p>
--	--	--

